ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2941847

ნომერი: AR1455133

თარიღი : 09.11.2016

გაცემის თარიღი : 11.11.2016

გაცნობის თარიღი : 24.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N130 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბაბუნაშვილი პ/ნ 01018001896
- თბილისი მ.ზანდუკელის ქ. N 24

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.11.2016 წლის №2928988 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 09/11/2016 წლის

AR1455133 განცხადებით მომართა გიორგი ბაბუნაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 09.11.2016 წლის №2928988 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 09.11.2016 წლის №2928988 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი–ისანი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N130, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 01.17.11.029.055) შეთანხმებული რესტორნის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 24 ივლისიდან 2016 წლის 24 ივლისის ჩათვლით.

სამსახურმა საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მშენებლობის კალენდარული გრაფიკის თანახმად მშენებლობის ვადა განსაზღვრული იყო 6 თვით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან სამსახურის 09.11.2016 წლის №2928988 ბრძანებაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა გაასწროს იგი და მშენებლობის ვადად, ნაცვლად „2015 წლის 24 ივლისიდან 2016 წლის 24 ივლისის ჩათვლით“ მიუთითოს „2016 წლის 09 ნოემბრიდან 2017 წლის 09 მაისის ჩათვლით.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.11.2016 წლის №2928988 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
"2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 09 ნოემბრიდან 2017 წლის 09 მაისის ჩათვლით..";
2.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09.11.2016 წლის №2928988 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.